# სოფელი კავთისხევის რეაბილიტაცია

**ნიკა ქსოვრელი**

*საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი, თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება, მაგისტრატურა*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე რამიშვილი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2016**

# აბსტრაქტი


პროექტის საკვლევ თემას წარმოადგენს სოფელი კავთისხევის საჯარო და სოციალური სივრცეების რეაბილიტაცია. საჯარო სივრცეები ხელს უწყობს სოციალური ურთიერთობის გაღრმავებას და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლებას. ასეთი სივრცეები შეიძლება იყოს საგანმანათლებლო დანიშნულების, სპორტული აქტივობის, ან უბრალოდ სკვერის სახით.

ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა და რომელიც მიეკუთვნება განვითარებად დემოკრატიას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებში არსებობდეს საჯარო, ან კერძო ინფრასტრუქტურული პროექტები. ჩვენ ვიცით, რომ გლობალიზაციის პირობებში შიდა მიგრაცია ხდება დიდი ქალაქებისკენ, სწორედ ამიტომ, საჭიროა რეგიონების განვითარება და მეტი სოციალური პროექტები.

მაშასადამე საკითხის კვლევისას შეინიშნება ტენდენცია, რომ შესაძლებელია მოსახლეობისთვის შექმნილი საჯარო ან სოციალური სივრცეებით და მათი (მოსახლეობა) ჩართულობით რეგიონების განვითარება.

პროექტი, რომელიც კვლევის შემდგომ დამუშავდება, დაეყრდნობა კვლევის შედეგებს და შექმნის ისეთ სივრცეს რომელიც აქტიურად იქნება გამოყენებული მოსახლეობის მიერ. იმ შემთხვევაში თუ კვლევის შედეგად არჩეული სივრცისთვის საჭირო იქნება შენობა-ნაგებობა, ჩატარდება დამატებით კვლევა რომელიც მოიცავს სწორი ადგილის

მოძებნას და შესაძლებლობის შემთხვევაში არსებული შენობის ადაპტაციას ახალი ფუნქციისთვის. ადგილის შერჩევის შემდეგ დამუშავდება არქიტექტურული ნახაზები, სპეციფიკაციები და განმარტებითი ბარათი. პროექტის განხორციელებაზე მუნიციპალიტეტის თანხმობის და საჭირო თანხების გამოყოფის შემთხვევაში, გადაიგზავნება კასპის ინფრასტრუქტურის სამსახურში შესათანხმებლად.

იმის გასარკვევად, თუ როგორი და რა დანიშნულების სივრცე ესაჭიროება სოფელ კავთისხევს, ჩატარდა კვლევა. კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებული იქნება თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, საკვლევი მასალის ლიტერატურული მიმოხილვა და ანალიზი, რის საფუძველზეც შედგინდა სიღრმისეული ინტერვიუს კითხვები, გეოგრაფიული, ისტორიული, არქიტექტურული, კლიმატური და ლანდშაფტური კვლევები, ასევე რაოდენობრივი კვლევა კითხვარის სახით.

პროექტის საკვანძო სიტყვებია: საზოგადოებრივი ცნეტრი, ინფრასტრუქტურული განვითარება, რეგიონების რეაბილიტაცია, პროექტი, არქიტექტურა, მწვანე სახურავი.